№ 187, სექტემბრის 1, კვირა. 1866—1885 სექტემბრის 1, კვირა. № 187.

„დროების“ რედაქცია—სასახლის ქუჩაზე, დ. სარაჯოვის სახლში.

ხელის-მოწერა მიიღება თბილისში, რედაქციაშივე ქუთაისში, ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში: გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Тифлисъ, ред. „Дроэба“

ფასი წლით 9 მ., 11 თვით 8 მ., 50 კ. 10 თვით—8 მ., 9 თვ.—7 მ., 50 კ. 8 თვ.—7 მ., 7 თვ.—6 მ. 6 თვ.—5 მ.. 5 თვ.—4 მ. 50 კ., 4 თვ.—4 მ., 3 თვ.—3 მ., 2 თვ.—2 მ., 1 თვ.—1 მ.

ცალკე ნომერი „დროებისა“ ღირს 5 კაპეიკი.

დროება

გამოდის ყოველ-დღე ოთხშაბათს გარდა.

ფასი განცხადებისა: მეოთხე გვერდზე სტრიქონზე 8 კ., პირველზე 16 კ. სრული უკანასკნელი გვერდი 25 მანათი; პირველი 50 ს. რიცხვი სტრიქონებისა ითვლება მთგან დაჭერილ-დაბეჭდილ სტრიქონლობაზედ.

თუ ხელმოწერა მოითხოვს, რედაქცია გაახსოვრებს და შეამოკლებს დახარჯულად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდელ წერილებს რედაქცია არ დაუბრუნებს ხელმოწერს.

Объявленія изъ Россіи, Царства Польскаго и заграницы принимаются только въ цент. конторѣ объявл. Л. Метцль., Москва, Петровка, № 6.

ДЕПОЗИТНЫЙ ЭКЗЕМПЛЯР

ეროვნული ბიბლიოთეკა

არ აწარმოებენ. ღვინოს ყიდულობენ გლეხებისაგან შვიდ ჩარექიანის თუნგით—მათზევე ჰყიდიან ოთხ ჩარექიანით. ასე რომ ორ ზომა ფულს გარდა ღვინითაც თუნგზედ სამი ჩარექა რჩებათ მოგება. ყველა ეს ასეა, და ხელის შემშლელი არავინა ჰყავთ...

ამ შთაბეჭდილებიდან გულ-მოშხამულს, მწარე კაეშანს მოგაშორებს თ. ი. მუხრან-ბატონის ოჯახური მიწყობილობა... შედიხართ მის მარანში, რომლის მზგავსი ძვირად თუ მთელს სახელმწიფოშიაც ნახოთ რამე. ხედავთ: შიგ მოწყობილს რკინის გზებს ღვინის მაშინების სატარებლად, ათას გვარ მოსარეცს, საწურავს, საქაჩავს, ერთი სარდაფიდგან მეორეში სწრაფად ღვინის გადამღებს სხვა მაშინებს; იქით და აქეთ კედლის გვერდებზედ მჭიდროდ მოწყობილია რამდენიმე ათას თუნგიანი ბოჭკები; გადიხართ ერთი სარდაფიდგან მეორეში, მეორიდგან მესამეში—მეოთხეში და ასე ამ გვარად რამოდენიმე განყოფილებიდამ იქნება გზაც კი ველარ გამოიგონოთ; ეგრეთვე საუცხოო შთაბეჭდილებას ახდენს მნახველზე, ჯერ დაუსრულებელი ორ-ორი პალატა-დარბაზი, რომელსაც ერთი ნაწილი იმ სარდაფისა უჭირავს, სადაც ხუთმეტი და მეტი წლის ღვინოებია; შესანიშნავია ეს სახლი ყოველის მისის სამკაულით და მრავალის დარბაზ-ოთახებით, მაგრამ ყველაზედ შესანიშნავია მთელ სიგძეზედ დატანებული ჯერ დაუსრულებელი დარბაზი თეატრისათვის, რომელიც გარშამო მთლად ლოჟებით არის შამოპწკარული; მუსიკის დასაკრავი ოთახისა მხოლოდ წვრილი ფანჯრები სჩანს თეატრში, საზანდარ-დაფ-დაფის დასაკრავი ოთახი მაღლა თვალ საჩინო ადგილას სცენის მზგავსად გადმოდგარია.

ერთს დიდს ნაკლულევანებას მუხრანისას შეადგენს მისავალი გზის უვარგისობა და ეს მით უფრო გასაკვირალია, რომ ასეთი დიდი მემამულე როგორც თ. ი. მუხრან-ბატონია სახლობს ამ სოფელში.

სოსიკო.

თიანეთი, აგვისტოს 22-ს. გწერთ ორიოდე სიტყვას მცხეთისა და თბილისის შუა ფოსტის გაცარცვის თაობაზედ. ავაზაკობის მეორე დღეს, საღამოთი ჩვენმა მაზრის უფროსმა ლევან ჯანდიერმა გაიგო ეს ამბავი ერთის მამასახლისაგან და თუმცა ჯერ ბძანება არა ჰქონდა მიღებული გუბერნატორისაგან,—მაგრამ მაინც დაუყოვნებლივ შეუდგა ავაზაკების დაჭერას. იმ საღამოთვე მაზრის უფროსმა გზაზედ, ს. თიანეთის ახლო, ნახა სამი ქისტი, ფოსტის გამცარცველები, მაგრამ, რადგანაც ტყე ახლო იყო და ხშირი ბინდიც ხელს უწყობდა, ამ უკანასკნელებმა თავს უშველეს – ტყეში დაიმალნენ. ბატ. ლ. ჯანდიერმა შეჰკრიბა ხალხი, გაგზავნა აქეთ იქით და მოკლე ხნის განმავლობაში ავაზაკებს შეუკრა გზები. სავალი აღარ საიდამ იყო; ადრე თუ გვიან ამოჩენილი ავაზაკები მიუცილებლივ უნდა დაეჭირათ. მთელი სამი დღე-ღამე უძილო, თავ-გამეტებული მაზრის უფროსი დაეძებდა ავაზაკებს, როგორც კარგი გამოცდილი სარდალი, სწორედ ისრე აწყობდა გამოყვანილი ხალხის რაზმებს გასავალი გზების გასამაგრებლად; მაზრის უფროსის თანაშემწე ვაჩნაძე და ბოქაული ნ. ავალიშვილი გამაგრდენ ხევსურეთში. ავაზაკების და ბოროტ-მოქმედების თავ-ზარ-დამცემმა ჩვენმა პოლიციელმა ელიზბარ ბუგუშვილმა გაამაგრა ფშავეთი. როცა საქმე ასე იყო მოგვარებული, ერთი მწყემსი ბიჭი მოიჭრა ტყიდამ თიანეთში და შეატყობინა საზოგადოებას, რომ სამი ქისტი ვნახეთ მე და ჩემმა ამხანაგებმა და კინაღამ არ გაგვცარცვესო. შემთხვევით აქ მყოფი ბაქის მოხელე ლ. ი. აფხაზი იმ წამსვე შეჯდა ცხენზე და თან გაიყოლა რამდენიმე კაცი. აფხაზს აეღო კვალი და გამოსდგომოდა ავაზაკებს. მეცადინეობას და ვაჟ-კაცობას ტყუილად არ ჩაუვლია,—ერთი ავაზაკი თავის ხელით დაიჭირა მამაცმა ლ. აფხაზმა, მეორე იქვე მოკლეს; მხოლოდ მესამემ უშველა თავს და დაბურულს ტყეში გადაიხვეწა. დაჭერილმა ყველაფერი აღვიარა და თავისი ამხანაგებიც გამოაშკარავა. ამბობენ, ავაზაკების მეთაური ყოფილა ერთი ქისტი, დუშეთში ჩაფრად მსახური, რომელიც სხვა საქმეებშიც არის შენიშნულიო. სრული იმედია, რომ, რაკი სხვა ავაზაკების ვინაობა გაიგეს, იმათაც მალე დაიჭერენ. .. *)

მოხსენებულმა ამბავმა ერთი მართალი სამდურავი გამოიწვია: ხალხი სჩიოდა, რომ მას თოფ-იარაღი არ მოეპოვება და თოფის წამალი ხომ იშვიათი საშოვნელიაო. ძიდევ კარგი, რომ აქაურებს შერჩათ მამა-პაპური ვაჟ-კაცობა, რომლის მაგალითად შეიძლება დასახელდეს, აი, თუნდა იგივე ახალ-გაზდა ლ. აფხაზი, მაგრამ რას იზამს ხალხი მარტო ცარიელის მამაცობით?!. .

ჩვენი მთიელნი მუდამ მამაცნი ყოფილან და, ღვთის მადლით, დარჩებიან კიდეც ამბობენ, რომ მაზრის უფროსს უნდა გასამხნევებლად და წასაქეზებლად ზოგიერთების დაჯილდოვებაო. კარგი და მოსაწონი იქნება.

ვინმე.

---

*) დღეს ყველა ავაზაკები მთავრობის ხელშია, გარდა ერთისა, რომელიც მოჭკლეს.

რედ.

საგრამატიკო თერმინოლოგია.

...მე შევადგინე მოსწავლეთათვის სახელმძღვანელოდ ქართული გრამატიკა. მაგრამ, სანამ თვითონ წიგნს გამოვსცემდე, გარდავსწყვიტე წინდაწინვე გამოვაქვეყნო ჩემ მიერ ნახმარი თერმინოლოგია დაწვრილებითი სარკვევის დაბეჭდვით. აქ ისიც ცხადად ჩანს, თუ რა უარ-მიყვია, რა მომიწონებია და რა ახალი შემომიტანია. ამით მცოდნე პირნი და ნამეტურ ქართულის ენის მასწავლებელნი ზნეობითად ვალდებულნი ჰხდებიან, რომ ამაზე ასე თუ ისე ხმა გაიღონ საზოგადო ორგანში. ამასთანავე ესეც უნდა მოგახსენოთ: შეიძლება აღმოჩნდენ ისეთნი პირნი, რომელთაც საჭიროდ არ მიიჩნიონ ამაზედ საქვეყნოდ წერილების ბეჭდვა საზოგადო ორგანში, აგებ იმიტომ რომ ცოტა რამ აქვთ სათქმელი და საკამათო ჩემთან; აი, ამისთანა პირთ უმორჩილესად ვსთხოვ პირ-და-პირ ჩემთან იქონიონ მიწერ-მოწერა (ადრესი: ქუთაისი სასულიერო სასწავლებლის მასწავლებელს პოლ. ქვიცარიძეს.) და მზა ვარ პასუხი მივუგო თუნდ კერძოდ თუნდ გაზეთისავე საშვალებით. ან არა და ყოველი მათი მონაწერი სახეში მიღებულ იქმნებიან იმ კერძო კრებაზე, რომელიც მოკლეს დროში უნდა მოხდეს ქუთაისში ქართულ საგრამატიკო თერმინოლოგიის შესამუშავებლად.

აი, ის სარკვევიცა ზემოდ რომ მოგახსენებდით:

შესავალი.

საგანი. საგანი გრძნობითი და განყენებითი. ნიშნეულება საგნისა. ნიშნეულობა არსებითი და შემთხვევითი. მსახველობა საგანზე. ცნების გამომთქმელნი. საშვალებანი. უპირატესობა რომელს მათგანს ეკუთნის. ბარჩევა სიტყვისა და უბრალო ყვირილ შორის. ნაწევროვანი ბგერა და მეტყველობის ნიჭი. სიტყვების სათევარი

ვაჰ გულო, ვაჰ გულებაო,
ვაჰ სიშორეო გზისაო;
წასვლავ და აღარ მოსვლაო,
დაწირვავ სწორებისაო.

—

ცაზედ მოდიან წერონი,
მწკრიედა, ჯარის-ჯარადა;
ვერა ჰხედავთა, ტივლებო,
ცრემლი ჩამომდის ღვარადა?

—

წადით, წაილეთ ამბავი,
არსად დაჰკარგოთ შარადა;
უთხარით ნუ დამიეწყებს
ძალასა ტურფას ტანადა;
ნეტარ არ ვაგონდებია—
მე ხო ესულდგმულობ ძალადა?...

თუმცა ამ სამი-ოთხი წელიწადის განმავლობაში ხევსურეთში პურის მოსავალი არა ყოფილა, მაგრამ ფშავმა როგორც იყო იოლას გაიყვანა. შორს წამოსვლა არ მოუნდა ხევსურს მეზობლის ყოლით. ადვილი წარმოსადგენია, რა შედეგი ექნებოდა ამ გვარ განკერძოებას ფშავ-ხევსურთათვის. სხვა რაც უნდა ცუდი იყოს, მაგრამ თუ აქამდე ზნეობა შენახულია ამათში—ამის მადლობით. აქამდისინ რაც იყო, იყო—საქმე ამას იქით იქნება. ხალხმა გადასახლებაზე ლამის ფიქრი იწყოს.

წელანა ესთქვი, რომ საქონლის ყოლა შეადგენს ერთ უმთავრესს ცხოვრების წყაროთაგანს ფშავ-ხევსურებისათვის. ბულ-დიდია მთიელი, თუ ერთი ორი ძროხა და ხარი ჰყავს და რამდენიმე ათ-გული თხა-ცხვარი. თუ არა და, შენი მტერი, ის დაღონებულია! ფშავ-ხევსურის გოდებას საზღვარი არა აქვს: ფშავ-ხევსურეთში საქონლის ჭირი გამოჩნდა... უწინ მშვენიერი სანახავი იყო ფშაველების სამთოები. მთის ფერდოებზედ აქა იქ მგზავრი დაინახავდა მშვენივრად დართულ საქონელს, მოჭიდავე და მობუბუნე ხაროვანს. ეხლა კი ქოხებთან, აქა-იქ ბაკებში თავ-ფეხებს თუ დაინახავ დაურილს, მთის ფერდოებზედ და სერებზედ—სვავ-ყორნისაგან განაზიდ ძვალმუნს. ხევ-ხუკი ლეშით არის სავსე. მკითხავ-ქადაგები წარღვნას იქადიან და ხალხს ერთ-ორად აზიანებენ.

ფშაველისთვის რო ამბავი გეკითხათ, გეტყოდა: «რაი მიჭირს, შენი კენესა მე, ვათენ-ვალამებ კიო», ეხლა კი იტყვის მხოლოდ? «დაილოცოს ღვთის სამართალი; კარგა გვიფერებს; აღარ ვიცით ჯერი არც ხატისა, აღარც კაცისა; ერთმანერთის დანდობა და სიყვარული, როგორც უწინ იტყვიან სადღა არის? ბამარჯვებაც კი დაუძვირდა ზოგს მზებნელს...

ხევსურეთში პირველად ხატის კურატები დახდა ავად. ჩაფიქრდა ხევსური. «ძოლდ არა შესძლებია ხო მაგას, ბეჩავ ყოფილა,—წინათით მაგისებ დაილია,» —სთქვა იმან და უპირობდა ხატს მიფუჩეჩებას, მაგრამ გამოსჩნდა მკითხავი და აღიარა: ხატი იმას ამბობსო, რო ჩემნი ხარმანეშნი (ხარები) შევანაცვლენ თავის ყმათაო, – ხალხის ხორველა ჩემის საქონლით ვიპატივე ღვთის კარაო.» და ხატისადმი ფუფუნემა კვალად განმტკიცდა «ჯვარის» საზარეზედ. ფშავ-ხევსურების ცხოვრების უმეცარმა იქნება იფიქროს, რო სიტყვა «ხარმანეში» იქნება იყოს საქონლის მაგივრადაო. არა. საუბედუროდ, ფშავ-ხევსურეთში მკითხავებს ჯერ კიდე დიდი გასავალი აქვთ. ამ მოვლენას ისე მტკიცედ გაუდგამს ფესვი ხალხში, ისე მაგრა შეჰზრდია იგი ხალხის ბუნებას, რო მრავალმა წელმა და საუკუნემაც უნდა გაიაროს, ვიდრე ამოიფხვრება. მკითხავ-ქადაგებს აქ თითქმის შემუშავებული აქვსთ თავისი საკუთარი ენა, სხვა-და-სხვა ცნებისათვის, სხვა-და-სხვა სიტყვები, ტერმინები აქვთ გამოგონებული, მაგალითად: «ფეხ-მურგვალნი» ცხენებისათვის, «ბუჟიერნი»—ცხვრისათვის, «ბუბუნაურნი» ან «ხარმანეშნი»—ხარებისათვის.

ბაჩანა.

მსჯელობაში. მსჯელობის გამომთქმელი საშუალება. უსაჭიროესი სიტყვები წინადადებაში. ამბავი ანუ საუბარი. ლექსიკონი. საუკეთესო ლექსიკონები ქართულის ენისა. სხვაობა ლექსიკონურისა და სასაუბრო სიტყვების შორის. რა გვასწავლის კანონიერად სიტყვების ხმარებას საუბარში. რა სიტყვაა გრამატიკა და რას გვიქვია დღეს ეს სახელი. გრამატიკის დასწავლის საჭიროება. რამდენ ნაწილად განიყოფის გრამატიკა. რას გვასწავლის სიტყვათა წარმოება და რას სიტყვათა თხზულება.

I

ნაწილი პირველი

სიტყვათა წარმოება. შენადგენობა სიტყვისა. ბგერა ხმოანი. ბუნდოანი და სამშვინავი. ანბანი. სულ რამდენი ბგერა (ასო წერაში) აქვს ქართულს ანბანს. სისრულე და სიმარტივე ქართულის ანბანისა. მარცვალი. სიტყვა. ფონეტიკური ცვალება ბგერათა, სპობა და ჩართვა მათი სიტყვაში. ძირი სიტყვისა, თავსართი და დაბოლოება მისი. რამდენ ნაირია დაბოლოება. რას ჰქვია სუფიქსი და რას ფლექსია. მარტივი და რთული სიტყვა (რთულ სიტყვას როდის უნდა შემკვრელი ნიშანი წერაში). ძირითადი და წარმოებული სიტყვები. სიმდიდრე და სიღარიბე ენისა საზოგადოდ. სიმდიდრე, ლაზათი და სინატიფე ქართულის ენისა კერძოდ.

II

დაყოფა ქართულის ლექსიკონისა ათ სიტყვათა ჯგუფად. რომელი სიტყვები ეკუთვნიან: არსებით სახელს, თვისებითს სახელს, ნაცვალ სახელს, რიცხვითი სახელს, ზმნას, მიმღეობას, ზედიზმნას, კავშირს, თანდებულს და შორისდებულს. ცვალებადი და უცვალადი სიტყვათა ჯგუფნი. პირველნი კიდევ რით ირჩევიან ერთმანერთისგან. რასა ჰქვიან ბრუნება (склоненіе) და რას მიმოხრა (спряженіе)

III

არსებითი სახელი. რამდენნაირია იგი მნიშვნელობისამებრ. რომელია ზოგადი, რომელი სათვითოო და რომელი კრებითი. ღირსებისამებრ რამდენ ნაირია არსებითი სახელი. რომელია ჩვეულებრივი და რომელი კნინობითი. რამდენი მდევარი აქვს არსებით სახელს. რას ნიშნავს რიცხვი, მხოლოობითი და რას მრავლობითი. ბრუნვა რამდენია. რას ნიშნავს ბრუნვა სახელობითი, ნათესაობითი, მიცემითი, მოთხრობითი, ცვალებითი და წოდებითი. ფლექსიები თვითეულის ბრუნვისა მხოლოობითს რიცხვში მთელი და მოკვეთილი. როდის რომელი უნდა საუბარში. მეორე ნაირი დაბოლოება ნათესაობითის და მოქმედებითის ბრუნვისა რომელ სიტყვებს უნდა. პირველნაირი ფლექსიები ბრუნვათა მრავლობითს რიცხვში მთელი და მოკვეთილი. როდის რომელი უნდა იხმარო. მეორე ნაირი ფლექსიები ბრუნვათა მრავლობითს რიცხვში მთელი და მოკვეთილი. როდის რომელი უნდა. რომელ არსებით სახელებს უნდა მეორე ნაირი ფლექსიები მრავლობითის რიცხვისა. სახელ მოდგამნი და მათი ბრუნება.

IV

თვისებითი სახელი. ვითარებითი და დამოკიდებითი. ცალკე მდევარი რა აქვს ვითარებითს თვისებით სახელს რამდენია ხარისხი. რას ნიშნავს ხარისხი დებულებითი, შედარებითი და წარჩინებითი. ბრუნება თვისებით სახელისა ცალკე. ბრუნება მისი არსებით სახელთან შეთხზვით. გამონაკლი აქედამ შესახებ მოქმედებითის და ცვალებითის ბრუნვათა. ფონეტიკური სპობა ბგერათა ბრუნვებში შეთანხმების დროს. შეთანხმება მრავლობითს რიცხვში არსებით სახელთან როდის უნდა. გამოსხვა მრამლობითის რიცხვისა როცა მეტი ყურადღება თვისებით სახელზედ არის მიქცეული.

V

რიცხვითი სახელი რამდენ ნაირია მნიშვნელობისამებრ. რომელია რაოდენობითი, რომელი წესებითი და რომელი ზოგლებითი (дробныя). ბრუნება როგორი აქვს რიცხვითი სახელს.

VI

ნაცვალსახელი რამდენნაირია. რომელი მათგანია: პიროვნებითი, საკუთრებითი, ჩვენებითი და ვითარებითი. ბრუნება როგორი აქვს ნაცვალ-სახელს. უბრუნველობა პიროვანის ნაცვალ-სახელებისა. შემოკლება ზოგიერთის ჩვენებითი ნაცვალ-სახელებისა.

VII

ზმნა რამდენ ნაირია მნიშვნელობისამებრ. ზმნა შემოქმედებითი, უმეტაობითი, ვნებითი და მწეობითი. როგორი ზმნები წარმოდგებიან შემოქმედებითის ზმნიდამ. რას ნიშნავს ზმნა სხმით-გადასვლითი და კვლავსხმით გადასვლითი. უმეტაობითი ზმნიდამ რა ზმნები წარმოდგებიან. ზმნა ხატვნებითი და ხატ-შემოქმედებითი. მდევარნი ზმნისა. ორი რიცხვი. სამი პირი. სამი სახე: გაუთავებელი, გამთავე და ხშირობით. დრონი ზმნისა: აწ-მდგომი, ქმნილუსრული, ქმნილისრული, ქმნილოდეს უსრული, მქნილოდეს სრული, ქმნადი უსრული, ქმნადი სრული. სახარი (наклоненіе) ზმნისა: უჩინო, ჩვენებითი, სათუო და გავლენითი. მიმოხრა ზმნისა ორ გვარი. პირველის ფორმის მიმოხრა. მეორე ფორმის მიმოხრა. მიმოხრა სრულ მდევრიანი ზმნებისა. მიმოხრა უპირო ზმნებისა. უკანონო ზმნები რომელნი არიან. მათი მიმოხრა. სიუხვე ქართული ზმნის ფორმებისა. გადასვლა ზმნისა არსებით სახელებად და პირიქით. სახელ ზმნანი. შეთანხმება ზმნისა არსებით სახელთან რიცხვში როდის უნდა.

VIII

მიმღეობა. რაში ჰგავს იგი ზმნას და რაში თვისებით სახელს.

IX

ზედიზმნა, ზედიზმნა ვითარებითი, რაოდენობითი, ადგილობითი, დროებითი, თუობითი, კითხვითი, საზღვრებითი, წართქმითი და უკუთქმითი. ხარისხები ვითარებითი ზედიზმნისა. გამრჩევი ნიშნები ვითარებითი ზედიზმნისა ცვალებითის ბრუნვისგან, ადგილობითი და დროებითი ზედიზმნანი რომელს ბრუნვას ითხოვენ არსებითი სახელისას.

X

კავშირი, გადასვლა კავშირებისა არსებით სახელებად.

XI

თანდებული, წინამძღოლი და მიმდევარი თანდებულნი. თანდებულნი გამომხატველნი ზმნის გამთავე სახისა. თანდებულნი გამომსახველნი დროსი, კუთნილების და ადგილის. ბრუნვებს რომელთ ითხოვენ.

XII

შორისდებული. საჭიროება მისი მეტყველებაში, რამდენ ნაირია, გადაქცევა მათი საგნების სახელებად და მათ ვითარებად. სათევარი შორის დებულთა პირველ ყოფილ ენის გამოსახვაში. ხმაბაძნი.

XIII

ნიმუში ეთიმოლოგიურის ღლევისა.

ნაწილი მეორე,

სიტყვათა თხზულება.

I

ფიქრი და მსჯელობა. ჩვეულებრივი და საუკეთესო საშვალება მის გამოსახატავად. წინადადება. მთავარნი წევრნი წინადადებისა: ქვემდებარე და შესმენილი. განმარტებითი სიტყვები. მოკლე და ვრცელი წინადადება. რთული ქვემდებარე და რთული შესმენილი. განმარტებითი სიტყვები რამდენ გვარია. განმსაზღვრელი სიტყვები, დამატებითი და გარემოებითი. გარემოებითი სიტყვები კიდევ რამდენ გვარია. გარემოება დროსი, ადგილის, მიზეზის, მიზნის და ვითარების. საგულებელნი წევრნი წინადადებისა.

II

წინადადებანი შინაარსისამებრ: მბობითი, კითხვითი, განკვირვებითი, გავლენითი, მიმართვითი, უპიროვნო და ჩართული.

III

წინადადებანი შენადგენობისამებრ: მარტივი, რთული, მთავარი, დამოკიდებული, გადაბმული და ხანა. თხზულება, ამბავი.

IV

რომელს წევრს წინადადებისას რომელი სიტყვათა ჯგუფთაგანი გამოსთქვამს ხოლმე. ღალაგება წინადადების წევრთა და გამონაკლი ამ კანონიდამ, ანუ გრამატიკული ლოგიკური წყობილება სიტყვებისა.

რომელი გვარი სიტყვიერების ნაწარმოებისა არ ექვემდებარება არც ამ კანონს და არც მისს გამონაკლებსა, ქართული ლექსთა [illegible] სი, უმთავრესი ქართული [illegible] ორლექსიანი შაირი, სამლექსიანი შაირი, ოთხლექსიანი შაირი ანუ რუსთველური, ხვერლექსიანი შაირი. შავთელაური, ჩახრუხაული, მაგნაკორული, მუხამბაზური, გაფიზური, ბაიათი, თეჯლიში, მუსთაზადი, იამბიკო.

V

წერითი გამოხატვა საუბრისა, წარმოინება ქართულის ასოებისა. რამდენია, სინატიფე მათი, მართლ-წერის კანონის სიმარტივე და საკილოვნე ნიშნები.

VI

ნიმუში სინტაქსიურის ღლევისა.

ჰ. კვიცარიძე.

ტელეგრამები

„ჩრდილოეთის სააგენტოსი“

აგვისტოს 28-ს.

ოდესა. იტალიიდამ მოსულმა გემებმა კარანტინი უნდა გამოიარონ, რადგან იქ ხოლერა გაჩნდა.

პარიჟი. მონარქისტებმა შეამუშავეს საარჩევანო პროგრამა, რომლითაც ისინი თუმცა არ ეხებიან მმართველობის ფორმას, მაგრამ ითხოვენ, რომ მალაში იქმნეს მოყვანილი კონსტიტუციის მე 8 მუხლი, რომლის ძალითაც სჯა შეიძლება მმართველობის ფორმაზე.

ლონდონი. Standard-ის სიტყვით რუსეთის წინადადება ხულფიკარის გასავლის თაობაზედ ინგლისმა ფორმალურად მიიღოვო.

პრინცი ედვარდ საქსენ-ვეიმერისა, რომელიც აქამდის ინგლისის სამხრეთ ოლქის ჯარს უფროსობდა პორცმუტში, დედოფალმა დანიშნა ბრიტანიის ჯარების სარდლად ირლანდიაში.

ბერლინი. შინაგან საქმეთა მინისტრის განკარგულებით რუსის ქვეშევრდომნი, რომელნიც პრუსიაში საქმის გამო ან სამუშაოდ შემოდიან რამდენიმე დღით, არ იქმნებიან განდევნილნი ამ სახელმწიფოდამ.

აგვისტოს 29-ს.

მოსკოვი. გამატყუნებელის აქტის ნაცვლად, შედგენილ იქმნა მოსკოვის სამჯავრო პალატის განსაკუთრებული დადგინება, რომლის ძალითაც სამართალში მიიცემიან ამ წლის იანვარში საბა მოროზოვის ქარხანაზე უწესოების ჩამდენნი. ბრალდებულთა რიცხვი 40 და მოწმებით ვლადიმერის ოლქის სასამართლოში იქნება 300 კაცზე მეტი.

აგვისტოს 30

პეტერბურგი. დღეს ხელმწიფე იმპერატორის დღეობის გამო ალექსან-

დრე ნეგის ლაგრანში გადახდილ იქმნა ბარაგლისი. ქალაქი ბაირადებით არას მორთული, სადამოს ჩირაღდნებს ანთებენ.

დღეს ხელმწიფე იმპერატორმა გასცა დიდ-ძალი ჯილდოები, მათ შორის ნიშნები: წმ. სტანისლავის 1 ხარისხისა; ერეგნის ვიცე-გუბერნატორს ჩეხოვსკის და თბილისის საგლეხო მმართველობის წევრს აბაშიძეს; წმ. ვლადიმერისა. 3 ხარისხ. კავკასიის მთავარმმართებლის კანცელიარიის არხივარიუსს ანტონოვს; მე 4 ხარისხ. საქმეთა მწარმოებელს—ეოდანოვს, ამავე კანცელიარიის ვიცე-დირექტორს როგეს დეისტვ. სტატსკ. სოვეტნ. ჩინი.

კიევი. დროებით სამხედრო სასამართლომ განიხილა იმ 30 გლეხთა საქმე, რომელთაც ბრალდებოდათ უწესოების მოხდენა და მთავრობის წინააღმდეგობა ამ წლის მაისში მიწარის გამიჯვნის დროს დაბა გოგოლევაში,—19 მათგანი დამნაშავედ იცნო და გადუწყვიტა ორს 12 წლ. კატორგა, ერთს 10 წლ., ოთხს ტუსაღების როტა, დანარჩენს 12-ს, მათ შორის ქალებსაც ციხე სხვა-და-სხვა ვადით.

რომი ბალერმოში რამდენიმე კვირა მოკვდა ხოლერით. ამ ქალაქიდამ მოსული გემები თითო კვირით კარანტინში დგანან.

უაშინგტონი. გამუდმებულმა გოლვამ ეველა შტატებში, განსაკუთრებით ტეხასსა და არკანზასში ძლიერ ავნო მოსავალს, რომელიც ისევე დიდად დაზიანა წყალმა. უფრო დაზიანდა ბუნრი; ბამბის მოსავალსაც ცუდი ბირი უჩანს.

აგვისტოს 31-ს.

პეტერბურგი. „ნოვოე ვრემია“ გვაცნობებს, რომ სახალხო განათლების მინისტრის განკარგულებით, უნივერსიტეტის სტუდენტებს, რომელნიც ქრისტიანები არ არიან და სხვა სარწმუნოებას აღიარებენ, სტიპენდია არ მიეცემათო.

კიევი. ფინანსთა მინისტრი რამდენსამე დღეს დარჩა კიევში და გუშინ საღამოს წავიდა ოდესაში

პეტროზავოდსკი. გუშინ აკურთხეს ერობის მიერ აგებული ძეგლი იმპერატორის ალექსანდრე II სახელობაზე.

კოპენჰაგენი. გუშინ დილით ხემწიფე იმპერატორი, ხემწიფე იმპერატრიცა სრულიად რუსეთისა და წევრნი დანიის სამეფო სახლობისა მობძანდენ ფრედენსბორგიდამ კოპენჰაგენს. აქ მოისმინეს პარაკლისი, გადახდილი ხემწიფე იმპერატორის დღეობის გამო, ხოდო სადამოზე სამეფო სასახლეში ფრენდენსბორგს სადილი იყო გამართული. სადილზე დასესწრნენ ხემწიფე თავის მეუღლი თურთ, დანიის მეფის სახლობა, მეფე ელინთა, დიდი ჰერცოგინია მეკლენბურგისა, ბრინცესა უელსისა და სხვა პირნი. დანიის მეფემ ადღეგრძელა იმპერატორი სრულიად რუსეთისა და სადღეგრძელოს გამო რუსული ჰიმნის გაღლობა მოსმენილ იქმნა დამწვრეთაგან ფეხზე დგომით.

პარიზი. ტონკინის ლაშქრის სარდალმა კურსიმ ნება-რთვა ითხოვა ანამის მეფის გადაყენებისათვის და მთავრობამაც ნება მისცა კურსის სრულის თავისუფალის მოქმედებისა.

ბირჟა

პეტერბურგი აგვისტოს 29.

100 მანათის კურსი სამის თვით ლონდონზე—	—	$23^{31}/_{32}$	$24^{3}/_{32}$ 24
100 მანათის კურსი სამის თვით ჰამბურგზე—	—	$203^{3}/_{4}$	$204^{1}/_{2}$ 204
100 მან. კურსი სამის თვით პარიუზე	—	—	$252^{3}/_{4}$ 253
პოლუიმპერიალები	—	8 მ. 26 კ.	გაუ.
ტამოჟნის კუპონები	—	8 მ. 28 კ.	გაუ.
ვეცხლის მანათი	—	1 მ. 31 კ.	გაუ.
ბირჟის დისკონტი—	—	$5^{1}/_{4}$	და $6^{1}/_{2}$%
5% ბილეთები სახელმწიფო ბანკისა 100 და 1000 მან. პირველი გამოცემისა	—	—	$99^{1}/_{2}$ მ. გაუ.
მეორე გამოცემისა	—	98 მ. 87 კ.	გაუ.
მესამე გამოცემისა	—	$98^{1}/_{2}$ მ.	მუ.
მეოთხე გამოც.	—	—	$98^{1}/_{4}$ მ. მუ.
მეხუთე გამოც.	—	—	98 მ. 37 კ. მუ.
5% აღმოს. სესხ. 100 და 1000 მ. პირვ. გამოც.	—		$97^{1}/_{2}$ მ. გაუ.
მეორე გამოც.	—	—	97 მ. 37 კ. მუ.
მესამე გამოც.	—	—	97 მ. 37 კ. მუ.
5% მომგები ბილეთები I შინაგანის სესხისა	—		$219^{1}/_{2}$ მ. გაუ.
5% მომგები ბილეთები II შინაგანის სესხისა	—		$211^{1}/_{4}$ მ. გაუ.
ოქროს რენტა	—	—	$173^{1}/_{4}$ მ. გაუ.
თბილისის საადგილ-მამულო ბანკის გირავნობ. ფურცლები	—	—	27 წ. $89^{1}/_{4}$ მ. გამუ.
ქუთაისის საადგილ-მამულო ბანკის გირ. ფურც.			18 წ. 92 მ. გამუ.
			43 წ. 90 მ. გამუ.

განცხადებანი

გრ. ჩარკვიანის

ქართული წერილის მაღაზიაში

ი ს ყ ი დ ე ბ ა

მოძრავი ასოები, სკოლებში სახმარებლად შედგ. აღ მირიანაშვილისაგან; ფასი ყუთით ერთი მანათი.

მოძრავი ასოები კუბიკებზედ, ბავშვებისათვის, ოჯახებში სახმარებლად; ფასი ყუთით თოთხმეტი შაური.

ბავშვების მოელა. თხზ. კ. ბაბისა ნათ. ვ. მაჩაბელისაგან; ფასი ერთი მანათი.

აგრეთვე ისყიდება ყოველ გვარი ქართული წიგნები (3—1)

სასწავლებელი და პანსიონი

კლასიკური გიმნაზიისა და რეალურ სასწავლებლის 4 წლის კურსით

ა. ს. გინკულოვისა.

მოწაფეთა და პანსიონერთა მიღება დაიწყება ენკენისთვის 2-დამ; სწავლა ენკენისთვის 5-დამ. დაწვრილებითი პირობანი შეიძლება შეიტყოს მიხაილის ქუჩ., № 81 და ელისაბედის ქუჩ., № 10. (5—1)

ისყიდება

ასალი სახელმძღვანელო წიგნი

ქართული ქრისტომატია

უმცროს კლასებისთვის.

შედგენილი მიხეილ ნასიძისაგან.

ფასი თოთხმეტი შაური.

შინაარსი: ა) პატარ-პატარა წერილები, ლექსები და იგავები, ბ) ზღაპრები, გ) საქართველოს ცხოვრებიდამ და ბუნებიდამ (რჩეული ადგილები ჩვენი მწერლების საუკეთესო ნაწერებიდამ), დ) საქართველოს ისტორიიდამ.

წიგნი ისყიდება ყველა ადგილას, სადაც ყიდულობენ წიგნის მაღაზიებში. ძალაქ გარედამ ვინც ერთს ეკზემპლიარს დაიბარებს, გასაგზავნი ორი შაური უნდა დაუმატოს. ვინც დაიბარებს არა ნაკლებ 10-სა, მას წიგნი დაეთმობა ცამეტ შაურად, ხოლო გაგზავნის ხარჯი კი მისი იქნება (25—14)

შოკოლადი

ს. სიუ და კო.

(II. 2542).

(46—28)

გამოცემა გ. დ. ქართველიშვილისა.

ახალად დაიბეჭდა და ისყიდება «დროების» რედაქციაში

ვახუშტი

საქართველოს ისტორია

განმარტებული და შეესებული ახლად შეძენილის არხეოლოგიურის და ისტორიულის ცნობებით

დიმ. ზ. ბაქრაძის მიერ.

ნაწილი პირველი

მველის საქართველოს საზოგადო ქართით.

შედგენილი და დახატული ქვაზედ ნ. ი. წიღოსნისაგან, და ამოჭრილი ვ. ტატიშვილისაგან.

თითო წიგნი ღირს სამ მანათად

ამ წიგნის შინაარსია: 1) სამი წინა-სიტყვაობა: პირველი ანუ განხილვა ძველის ქართულის ხრონოლოგიისა, (ვახუშტისა); მეორე ანუ ცნობა ვახუშტზე და იმის ქარტებზე (ბროსსესი); მესამე ანუ ქართველი ისტორიის წყაროები და „ქართლის ცხოვრების“ ღირსება (ბაქრაძისა). 2) საქართველოს ძველი წესდებანი და ზნე-ჩვეულებანი; ისტორია ძველის დროდამ 1469 წლამდე ანუ საქართველოს დანაწილებამდე სამეფო-სამთავროებად.

აქ შენიშნვებში შემოტანილია, გარდა მსოფლიო ისტორიულის ცნობებისა, რომელნიც გვიჩვენებენ უცხო-ტომთ გავლენას ჩვენს გვარ-ტომზე ის ცნობანი, გარეგანნი და შინაგანნი (სხვა-და-სხვა ხრონიკებიდამ, გეოგრაფიდამ და წარწერებიდამ), რომელნიც არიან აღმოჩენილნი ჩვენ დროს.

წიგნის ბოლოს ჩართულია: 1) ახალ დამატებაში შთამომავლობის ხე მეფეთა და მთავართა გიორგი VIII-მდე († 1469 წ.). აქ თვითოეულს მეფობაში ნაჩვენებია ყოველივე მის დროს შესანიშნავი ისტორიული შემთხვევა ისე, რომ ეს დამატება შეიცავს ცალკე შემოკლებით მთელს საქართველოს ისტორიას; 2) საზოგადო საქართველოს ქართა ძველის ისტორიულის ნომენკლატურით (სახელწოდებებით), იმ გვარად დახატული, რომ იმის მთა-ხეობათა მიმდინარეობა ადვილად უჩვენებს ბუნებითს დანაწილებას ჩვენის ქვეყნისას თემ-თემებად.

ამ გვარადვე შესდგება მეორე და მესამე, ნაწილი "ვახუშტის ისტორიისა„. "მეორე ნაწილს„ საგნად ექნება: ქართლის სამეფოს გეოგრაფია და ისტორია; კახეთის სამეფოს გეოგრაფია და ისტორია. აქ ჩაერთვის ქართლ-კახეთის მეფეთ შთამომავლობა და ქართლ-კახეთის ქარტა. ჩაერთვის აგრეთვე მხატრობა როგორც ეველა ქართულის მანათებისა მათის განმარტებით, აგრეთვე ჩვენის მწერლობის ნიმუშებისა ძველის დროდამვე ისე, რომ მკითხველმა ეველა საუკუნოების მწერლობის ხასიათი შეიგნოს. ეს ნაწილი გამოვა მომავალ წელში.

მესამე ნაწილი ანუ გეოგრაფია და ისტორია დასავლეთის საქართველოისა ანუ იმერეთისა და სამცხე-საათაბაგოსი თავის შთამომავლობით და ქარტით და სრულის ალფაბეტით გამოიცემა 1887 წელს.

(25—5)

ი. ა. ფორაქოვის და დ. ზ. სარაჯოვის

სპირტისა და არყის დეპოში (თბილისში დ. სარაჯოვის სახლებში საბლის ქუჩაზედ).

ისყიდება

დაწმენდილი პურის არაყი სხვა და-სხვა სორტისა და აგრეთვე სხვა-და სხვა გვარი დაწმენდილი სპირტი.

ვისაც ქალაქს გარედამ დაბარება უნდა, შემდეგის აღრესით უნდა დაიბაროს: Въ Тифлисъ. Въ оптовый складъ вина и спирта И. Порокова и Д. Сараджева. (20—13)

Дозв. ценз. Тифлисъ, 31 Августа 1885 г. მელიქიშვილის სტამბა. გამომცემელი ბ. ქართველიშვილი. რედაქტორი ი. მაჩაბელი